სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს 2014 წლის ანგარიში

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს 2014 წლის ანგარიშს.

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროში ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით რეგისტრირებულია 51 განცხადება. საჯარო ინფორმაციაში შესწორების მოთხოვნა აღნიშნულ პერიოდში არ დაფიქსირებულა.

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს არ მიუღია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება. საჯარო ინფორმაციის გაცემის ყველა მოთხოვნა სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ სრულად დაკმაყოფილდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში და წესით.

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა.

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გაცემისას ხელმძღვანელობს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ბიურო თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებასა და შენახვას აწარმოებს საკადრო უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის კანონიერი მიზნიდან გამომდინარე და ამ მიზნის პროპორციულად.

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომლების მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევასა და მათთვის დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.